

სეაგი მაკადათია

K 3.399  
1

გიორგი გრეხიერალი

\*\*\*

თბილისი

| საქ. მხარეთა მცნუდეობის საზოგადოება |

II 1944 II

სენატის გარემონტის



# გიორგი გრიშუნვალი

K 3.399  
—  
1



საქ. მსართმდოდენის საზოგადოება  
თბილისი

1944

## გიორგი ბრწყინვალე

საქართველოში მონღოლთა ანუ თათართა ბატონობის პერიოდის მეფეებს შორის თავისი პოლიტიკური მოღვაწეობით, ნიჭით და გამჭრიახობით გამოირჩევა გიორგი V, რომელმაც მონღოლთა ბატონობის მძიმე ხანაში შესძლო აღედგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა და შეექმნა საქმაოდ ძლიერი სამეფო. ამის გამო ქართველი ისტორიკოსები მას, სამართლიანად, დავით აღმაშენებელს ადარებენ.

აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით: „საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში, ბაგრატ III, დავით აღმაშენებლისა და თამარის შემდგომ, არც ერთ მეფეს თანამედროვეთა შორის და შთამომავლობაში ისეთი სახელი არ მოუპოვია, როგორიც გიორგი V ბრწყინვალემ დაიმსახურა, მისი ქება თანასწორად გვხვდება, როგორც საქართველოს, ისევე მეზობლების წყაროებშიც. მისი უარყოფა ვერ შესძლებიათ ისეთ პი-

რებსაც, რომელთა პოლიტიკა მისაც  
 მთლიანად ეწინააღმდეგებოდა"-ო (ივ.  
 ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ჭ. III, გვ. 160).

გიორგის პოლიტიკურ აღზრდაში, უეჭველია,  
 დიდი ლვაწლი მიუძღვის მის პაპას სამცხის ათაბაგს  
 და მანდატუროუხუცესს ბეჭას, რომლის ქალი ნა-  
 თელა მეუღლედ ჰყავდა მეფე დიმიტრი II თავდა-  
 დებულს.

ქართველი მემატიანე დადებითად ახასიათებს  
 ნათელას პიროვნებას, ხოლო გიორგის დაბადების  
 შესახებ აღტაცებით მოგვითხრობს: „ხოლო ას-  
 ულმან ბეჭასამან ნათელ უშვა ძე მხო-  
 ლოთ გიორგი, რომელ უკანასკნელ ძმა-  
 თა მისთა მეფე იქმნა, და განდიდნა უმე-  
 ტეს შემდგომთა მეფეთა. რამეთუ მარტო  
 იყო ძე დედისა, მარტო ჰუშვა დედამან.  
 ვითარცა მარგალიტისათვის თქმულ  
 არს, მარტოება უმჯობესისათვის, აგრე-  
 თვე გიორგი იპოვა უმჯობესი ყოველ-  
 თა კაცთა მის ჟამისათა, არა ოდენ ხელმ-  
 წიფეთა, არამედ ყოველთა კაცთა"-ო.  
 (ქართლის ცხოვრება, მ. ბროსეს გამოც. 1849 ჭ. ნაწ. II.  
 გვ. 420).

ეს სიხარული ჩქარა დიდი მწუხარებით შეიცვა-  
 ლა. მონღოლებმა ვანდგომა და ლალატი შესწამეს  
 დიმიტრი მეფეს და ის ყაზან-ყაენის ბრძანებით  
 ურდოში გაიწვიეს. დიმიტრიმ კარგად იცოდა, თუ

რა განსაცდელი მოელოდა მას და მის ოჯახს ყაენისაგან და წასვლის წინ გასცა ბრძანება, მთელი მისი ოჯახი გაეხიზნათ: „ხოლო ყრმა მცირე გიორგი წარგზავნა ტაოს, იშხნის ციხესა ასპარაზეთს“-ო, მოგვითხრობს მემატიანე (ქართლის ცხოვრება, 422).

ტაოში გახიზნულმა ნათელამ, თავისი მცირე-წლოვან შვილით გიორგით, თავი შეაფარა თავის მამის ოჯახს, საღაც ათაბაგი ბექა იყო მფარველი და მზრუნველი თავის შვილის შვილისა.

1289 წლის 12 მარტს მეფე დიმიტრი სიკვდილით იქმნა დასჯილი,\* ყაენმა კონფისკაცია უყო მეფის პირად ქონებას და მის მემკვიდრეებს სამეფო ტახტზე უფლებაც ჩამოართვა, ხოლო ეს უფლება უბრძა იმერეთის მეფის, დავით ნარინის შვილს, ვახტანგს. ამით ყაენი ორ მიზანს აღწევდა: ლალატისათვის დაესჯა დიმიტრის მემკვიდრეები და ამავე დროს ვახტანგის გამეფების გზით შემოერთებინა და დაემორჩილებინა იმერეთის სამეფოც, რაც მისცემდა მას საშუალებას მეტი ხარაჯა მიეღო და თავისი ბატონობა გაევრცელებინა შავი ზღვის სანაპირომდე.

1289 წელს არლუნმა ქართლის მეფედ დაამტკიცა ვახტანგ II დავით ნარინის-ძე, დიმიტრის მემკვიდრენი ამის გამო იძულებული იყვნენ დრო-

---

\* სერგი მაკალათია, დიმიტრი თავდადებული, თბილისი, 1942 წ.

ებით ხელი აეღოთ ტახტის უფლებებზე და ყაენის შიშით შეხიზნულიყვნენ შორეულ მხარეში.

მცირეწლოვანი გიორგიც სამცხეში იმყოფებოდა და აქ ბექას ზედამხედველობით პოლიტიკურ აღზრდას იღებდა.

ამ პერიოდში საქართველოს სამთავროებს შორის ყველაზე ძლიერი იყო სამცხის საათაბაგო, რომელ საც მართავდა გიორგის პაპა ათაბაგი ბექა. ამ ბექა ჯაყელ-ციხის ჯვარელმა მამის სამფლობელო მთლიანად შეინარჩუნა და ამგვარად საკმაოდ დიდი ტერიტორია ეჭირა. მემატიანის ცნობით მას ეპყრა:  
 „ტასის კარით გან ვიდრე სპერამდე, ვიდრე ზღვამდე სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალის ხევი, ხოლო ჭანეთი სრულად მისცა ბერძენმა მეფემან კომნინოს მან“-ო. ბექას საბრძანებელსავე ეკუთვნოდა: ტაო, არტაანი, კოლა, კარნიფორა და კარი. ამას გარდა „არტანუჯის ციხე და უდაბნონი თორმეტი კლარჯეთის ანი“ (ქარ. ცხოვ. 433).

სამცხის საათაბაგო უშუალოდ ემორჩილებოდა მონლოლთა ყაენს, ე. ი. როგორც მონლოლები უწოდებდნენ, ხასინჯუდ გადაიქცა. საქართველოში კი ამას ულუსიანად ქცევას ეძახდნენ. ასეთ პირს ან სამფლობელოს ვერავინ შეეხებოდა გარდა ყაენისა. ამის გამო საქართველოს მეფისათვის სამცხის ათაბაგის პოლიტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა

ჰქონდა. ჭართლის მეფის დამტკიცება ხდებოდა ათაბაგთან შეთანხმებით და მონღოლთა ყაენებიც ათაბაგის ერთგულობას დიდად აფასებდნენ. მით უმეტეს, ათაბაგი ეხმარებოდა მონღოლებს და მონაწილეობას იღებდა მონღოლების შორეულ ლაშქრობაში.

ამასთანავე ბექა იყო გულადი მეომარი და შესანიშნავი სარდალიც. როდესაც საბერძნეთიდან რუმის თურქმანები ჯადმოვიდენ ვინმე აზატ-მოსეს მეთაურობით მონღოლების წინააღმდევ, მაშინ საათაბაგოს, როგორც საბერძნეთის მოსაზღვრეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თავდაცვისათვის. ათაბაგმა ბექამ მაშინათვე მოუწოდა თავის ლაშქარს, გაემგზავრა ტაოსა და ბასიანს მტრის გასაღევნად. ბრძოლის დაწყებამდის, მემატიანის ცნობით, ბექას მოლაშქრებისათვის გამამხნევებელ და პატრიოტული სიტყვით მიუმართავს: „ის მინეთ მთავარნო საქართველოსანო, ძმანო და თანამონათესავნო ჩემნო!.. დიდმან და სახელოვანმან სკიპტრიისა და პორტირისა მქონებელთ შორის უმეტეს განთქმულმან მეფემან დავით დასცა და დაამხვადლიერებათუქრთა ნათესავისა და ოოტნა სამეფოსაგან მისისა: მიერ უამითგან აქამომდე არღარა ჩენით არიან თურქნი, და აშ ცოდვათა ჩვენთვის კვალად აღიძრნეს მძვინვარედ და

მოაოხრეს ტაო, და ურიცხვი სულიტყვა  
 ჰყვეს და მოსწყვიტეს პირითა მახვი-  
 ლისათა... ვინაითგან მეფე შემცირე-  
 ბულ არს მძლავრებისაგან თათართასა,  
 და კვლავად პირნი და თავნი საქართვე-  
 ლოსანი გადგომილან, და არავინ არს  
 წინააღმდეგომ თურქთა: აწისმინეთ ჩე-  
 მი, ტომნო და ერთნებანო. შეუკრძეთ  
 ყოვლითა ძალითა ჩვენითა და მივმარ-  
 თოთ თურქთა, და არა მივსცნეთ თავნი  
 და შვილნი ჩვენნი... დავსდვათ თავი  
 ჩვენი ჰსჯულისა შეუგინებლობისათვის  
 და ძმათა ჩვენთათვის"-ო (ქართლის ცხოვ. 438)

ასეთი მიმართვით გამხნევებული ბეჭას ლაშქარი  
 დაიძრა ბასიანისაკენ, სადაც დიდი და სასტიკი ბრძო-  
 ლის შემდეგ თურქმანები დამარცხდნენ და გაიქც-  
 ნენ. ყაენმა ამ გამარჯვებისათვის ბეჭას კარი (ყარსი)  
 და მისი მიდამო უბოძა.

ათაბაგი ბეჭა ამასთანავე ცდილობდა დაეცვა  
 საქართველოს პოლიტიკური ინტერესები ტრაპი-  
 ზონის სამეფოში, რომლის ხელში ჩასაგდებად  
 იბრძოდა ბიზანტიის კეისარი. ბეჭა მხარს უჭერდა  
 და ამაგრებდა იქ არსებულ საქართველოს  
 ორიენტაციის პოლიტიკურ ჯგუფს, რომ ქართვე-  
 ლთა მოძმე ლაშების მოსახლეობა ბიზანტიისათვის  
 არ დაეთმო.

ბექა აგრეთვე ცნობილია, როგორც სჯულმდებელი. მან შეადგინა სამართლის წიგნი, რომელიც მიზნად ისახავდა მოქმედებინა მონღოლთა ბატონობით აფორიაქებული საათაბაგოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრება.

✓ ბექას მოღვაწეობას ქართველი მემატიანე ამგვარად ახასიათებს: „კაცი წარმატებული ყოველსა შინა, სიკეთე-აღმატებული, საღმრთო საკაცობოთა საქმეთა, და უმეტეს სამართლის მოქმედებითა“-ო (ქართ. ცხოვრება 446).

ასეთი გამოცდილი და გავლენიან პოლიტიკური მოღვაწის ხელში იზრდებოდა უფლისწული გიორგი, რომელსაც სათანადო პირობები ჰქონდა გასცნობდა იმდროინდელ საქართველოს სავალალო მდგომარეობას, შინაპოლიტიკურ ბრძოლებს, მონღოლთა ცბიერ და ძირგამომთხრელ პოლიტიკას. მას ამხნევებდა ძლიერება და გავლენა თავის პაპის ბექა ათაბაგისა, რომლის დახმარებით და ხელის შეწყობით შესაძლებელი იყო სამეფო ტახტის დაბრუნება და საქართველოს მთლიანობის აღდგენა.

მონღოლთა ბატონობის ამ პერიოდს უმთავრესად ახასიათებდა შინაური, დინასტიური ბრძოლები, რომელიც გამომდინარეობდა მონღოლურ მართველობის სისტემიდან. დაპყრობილ ქვეყნებს მონღოლთა ყაენები თავიანთ საკუთრებად სთვლი-

დნენ და ამ ქვეყნებს შემდეგ უყოფდნენ თავიანთ  
შვილებსა და ნათესავებსა.

ამასთანავე საყანოში დაკანონებული იყო მრა-  
ვალცოლიანობა და ორდესაც ყაენი გარდაიცვლე-  
ბოდა, მის შემკვიდრეთა შორის მაშინათვე ატყდე-  
ბოდა ტახტის გარშემო ბრძოლა და ყაენის შვილე-  
ბში ვინც უფრო ძლიერი აღმოჩნდებოდა ის აღი-  
ოდა ყაენის ტახტზე. ყველაფერი ეს იწვევდა  
ყაენის შემკვიდრეთა შორის სასტიკ ბრძოლას,  
რომელშიაც ჩათრეულნი იყვნენ ქვეშევრდომ ქვეყ-  
ნების მეფე-მთავრებიც. საქართველოს მეფეებიც  
აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამ ბრძოლებში  
და მას არა ერთი ქართველი მეფეც შეეწირა. ეს  
გარემოება ხელს უწყობდა მეფისაგან ფეოდალ  
ერისთავების განდგომას, მუდმივ შფოთსა და ქვეყ-  
ნის შინაურ აშლილობას.

მონლოლების ზეგავლენით საქართველოც გა-  
ნიცდიდა მორალურ დაქვეითებას და საქართვე-  
ლოს მეფე-დიდებულნი მონლოლების წაბაძულო  
ბით აშკარად არღვევდნენ ქრისტიანულ წესებს და  
თანდათანობით ითვისებდნენ მონლოლურ-მაჰმადი-  
ანურ ჩვევებს. სხვათაშორის გახშირდა მრავალ-  
ცოლიანობა, რასაც ქრისტიანული ექლესია ფეოდა-  
ლურ არისტოკრატიას უკრძალავდა. მაგრამ მეუე  
და დიდებულები ამას ანგარიშს არ უწევდნენ და  
ურჩ მღვდელმთავრებს თანამდებობიდან ხსნიდნენ

და სდევნიდნენ. ასე მოიქცა სხვათაშორის გიორგი ბრწყინვალის მამა დიმიტრი თავდადებულიც.

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ხელს უწყობდა არსებულ სოციალურ უთანხმოების გამწვავებას და სახელმწიფოს საზოგადოებრივი გავლენის შესუსტებას.

დიმიტრი თავდადებულის სიკვდილის შემდეგ საქართველოს სამეფოს საშინაო მდგომარეობა უფრო გართულდა

მონღოლები ახლა ცდილობდნენ საქართველოს ტახტის მემკვიდრეთა შორის ურთიერთობის გამწვავებით საქართველოს დაქუცმაცებას და დასუსტებას. ამ მიზნით მეფობას ხან ერთს შესთავაზებდნენ და ხან მეორეს. ზოგჯერ ორსა და სამსაც ამტკიცებდნენ სამეფო ტახტზე. ეს ხელს უწყობდა მმართველ წრეებისა და დიდებულ-ერის-თავების. დაჯგუფებას, შინაურ უთანხმოებას და მოძმეთა შორის სისხლის ღვრას.

როგორც აღნიშნეთ, არღუნმა დიმიტრის სიკვდილით დასჯის შემდეგ ქართლის მეფედ დასვავახტანგ II, დავით ნარინის ძე (1289-1292წ.): ამ დროს გაძლიერდა ხუტლუბულა, რომელმაც ყაენის ერთგული სამსახურის გამო მიიღო ათაბაგობა და ამირსპასალარობა. როგორც დიდი ვაზირი ხუტლუბულა ცდილობდა ვახტანგ მეფე თავის გავლენაში მოექცია და პოლიტიკური ძალა-უფლებაც ხელში ჩაეგდო. მაგრამ მეფე მტკიცე ნების-

ყოფის ადამიანი აღმოჩნდა და ხუტლუბულას კანზრაბაშვილი გაიცემა გაუცრუვდა. ამის გამო ხუტლუბულა ჩქარა განუდგა ვახტანგს. იგი შეეცადა მის ნაცვლად ქართლის ტახტზე მეფედ დაესვა დიმიტრის შვილი დავითი, რომელიც მძღვლად იყო ყაენის კარზე. ტახტის კანონიერი მემკვიდრე დავითი დიმიტრის ძე ფიქრობდა ამ მიზნის განხორციელებას ხუტლუბულას დახმარებით, მაგრამ ვახტანგს მფარველობდა არღუნ-ყაენი, რომლის შიშით ხუტლუბულა ამას ვერ ბედავდა.

არღუნის შვმდეგ ყაენად დაჯდა მისი ძმა ქელათუ და ხუტლუბულას დახმარებით ამას მოჰყვა დავითი დიმიტრის ძის პოლიტიკურ-უფლებრივი რეაბილიტაცია. დავითის მომხრეები მოითხოვდნენ მის გამეფებას ქართლში, როგორც დიმიტრი მეფის კანონიერ მემკვიდრისას. დავითს მხარს უჭირდა აგრეთვე ტაჩარ ნოინი, რომლის ზედამხედველობის ქვეშ დავითი იმყოფებოდა. ყაენი ფრთხილობდა, რადგანაც იგი ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული დიმიტრის მემკვიდრეთა ერთგულებაში. და როდესაც 1293 წელს ქელათუ ყაენს განუდგა „საბერძნეთის“ რუმის სასულტნო მან გამოსაცდელად თან წაიყვანა დავით დიმიტრისძე, რომელმაც ამ ბრძოლაში თავი ისახელა და ყაენს დაუმტკიცა ერთგულობა.

ამ დროს გარდაიცვალა მეფე ვახტანგ II, უმეფობით ისარგებლეს ოსებმა და მონღოლების

წაქეზებით მათ დაიწყეს ქართლის დარბევა. ოსებ-  
მა აიღეს გორი და გამაგრდნენ გორის ციხეში. მა-  
შინ ქართლის ერისთავებმა შეკრიბეს ჯარი და გა-  
ილაშქრეს ოსებზე. ქართველებმა გორი გადასწვეს და  
გორის ციხეს ალყა შემოარტყეს. როდესაც ოსებს  
გაუჭირდათ, მათ სთხოვეს დახმარება მონღოლებს.  
იმათაც თხოვნა შეუსრულეს, ოსებს დაეხმარნენ და  
ქართველებს ამ მეკობრე ოსებთან ზავი დაადესინეს.

რუმის სასულტნოდან დაბრუნების შემდეგ  
ქელათუ ყაენმა მეფედ დაამტკიცა დავით VII დიმი-  
ტრის ძე (1293—1311 წ.). ამის შესახებ მემატიანე  
მოგვითხრობს: „მოუწოდა ყაენმა დავითს  
და პრევა: ვინაითგან დასდევ თავი შე-  
ნი მსახურებად ჩემთვის და სდგა ერთ-  
გულობასა ჩემსა ზედა, მომიცია მეფო-  
ბა და სამეფო შენთვის“-ო.

დავითმა მიიღო ქართლის სამეფო, საათაბაგოს  
გამოკლებით, რომელიც უშუალოდ ყაენს ემორ-  
ჩილებოდა. სამკების ათაბაგი ბექა დავითის გამე-  
ფებას კმაყოფილებით შეხვდა, პატივისცემით  
ეპყრობოდა მას და უგზავნიდა ძლვენს: „დაიპყრა  
დავით ყოველი სამეფო მამისა მისისა  
დიმიტრისი, თვინიერ ბექას, სამკების  
მპყრობელისა: არამედ იგი პატივცემ-  
და მეფესა დავითს, მრავალთა ნიჭთა და

ძღვენთა წარმოუვლენდის"-ო (ქარ. ცხვევა-  
რება, 428).

ბეჭამ ქარგად იცოდა, რომ დავითის გამეფება  
ნიშნავდა დიმიტრის მემკვიდრეების ტახტის უფლე-  
ბაში აღდგენას და ეს საშუალებას იძლეოდა,  
მისი ხელისშეწყობით სამეფო ტახტზე ასულიყო  
მისი შვილისშვილი გიორგიც.

დავითის დროს მონალოლთა ნოინებსა და ყა-  
ენებს შორის სწარმოებდა დიდი ბრძოლა ყაენის  
ტახტის ხელში ჩასაგდებად. ამ ბრძოლაში ჩაბმული  
იყვნენ ქართველი მეფეები და დიდებულებიც. რა-  
საკვირველია, წინასწარ ძნელი იყო იმის გათვალი-  
სწინება, თუ რომელი მხარე გაიმარჯვებდა. მით  
უმეტეს ასეთ დინასტიურ ხასიათის ბრძოლებში  
გამარჯვება იყო ცვალებადი და ამის გამო ქართველი  
მეფეებიც ამ პოლიტიკურ ბრძოლაში ხშირად  
მარცხდებოდნენ და ქვეყანაც საშინელ აოხრებას  
განიცდიდა.

ქელათუ ყაენს ჩქარა გამოუჩნდა ტახტის მეტო-  
ქე ბაიდუ, რომელსაც გაყაენება უნდოდა. მაგრამ  
ქელათუ ყაენმა იგი დაამარცხა, მხოლოდ შეთქმუ-  
ლებს ყაენი ლმობიერად მოეცყრა, ისინი არ დახოცა  
და ერთი მათგანი თუ ქალ ნოინი კი საქართველოში  
გამოიქცა.

1295 წელს ეს თუქალ ნოინი საქართველოში  
მოვიდა. დავით VII იგი პატივისცემით მიიღო, შე-  
ფიცეს ერთმანეთს ერთგულება, რომლის სიმტკი-

ცისათვის თუქალმა დავითს გადასცა დმანისი. ასე —  
თი კავშირის დადება, რასაკვირველია, გარკვეულ  
პოლიტიკურ მიზანს ისახავდა და ამით თუქალს  
უნდოდა დავითის გამოყენება ბაიდუს გასაყაენებ-  
ლად. მართლაც თუქალმა საქართველოში ჯარი შე-  
კრიბა და 1295 წელს გაილაშვილი ქეთალუ ყაენზე,  
ქეთალუ ჩქარა შეიძყრეს და მოჰკლეს. ყაენად და-  
ჯდა ბაიდუ, რომელიც შვიდი თვის ზემდეგ მო-  
ჰკლა ყაზანმა და თვითონ გაყაენდა.

ყაზანმა მონღოლური წესის მიხედვით მუსრი  
გაავლო ბაიდუს მომხრე ნოინებს, მხოლოდ თუ-  
ქალმა თავისი შვილით მოასწრო საქართველოში  
გაქცევა. აქ მან თავი შეაფარა სამცხეს, შვილი  
გაგზავნა დავით მეფესთან.

ერანის ილხანი ყაზანი მკაცრ პოლიტიკას აჭარ-  
მოებდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც  
მან პირველმა მიიღო მაჰმადიანობა და ახლა იგი  
ხელს უწყობდა ამ სარწმუნოების გავრცელება-გა-  
ძლიერებას. მაჰმადიანობის აღიარების შემდეგ მონ-  
ღოლებმა დაიწყეს ქრისტიანების დევნა და ეს გა-  
რემოება მეტად ართულებდა ქრისტიანულ საქა-  
რთველოს პოლიტიკურ მდგომარეობას, მით უმეტეს,  
აქ თავშეფარებული იყო ყაზანისგან დევნილი თუ-  
ქალ ნოინი. ყაზანმა ორჯერ გაგზავნა მოციქულე-  
ბი და დავით VII-ს მოსთხოვა თუქალის მოცემა. მეფე  
თუქალს ვერ იმეტებდა, რადგანაც მასთან დადებული  
ჰქონდა ერთგულებისა და ერთობის ფიცი, სთხოვდა

ყაენს თუქალის შებრალებას და უვნებლობას. პოლოს ყაზანი ამაზე დათანხმდა, მისცა დავით მეფეს თუქალის უვნებლობის ფიცი, მაგრამ ყაზანმა ხელში ჩაიგდო თუ არა თუქალი, მაშინვე მოჰკლა იგი. ყაზანმა, ახლა, თვითონ დავით VII დაბარება სცადა ურდოში და ამ მიზნით 1297 წელს დავითს მოციქულები გამოუგზავნა. ოვდაპირველად მეფე დათანხმდა და იგი ურდოში წასასვლელად მოემზადა, მაგრამ მალე ისევ გადაიტიქრა, რადგანაც ყაზანის შურისძიებისა ეშინოდა. ამის გამო ურდოში წასვლის მაგიერ დავით VII გაიხიზნა მთიულეთში და ჟინვანში გამაგრდა.

ამასთანავე დავითი ცდილობდა ესარგებლა ერანისა და ოქროს ულუსის ყაენებს შორის არსებულ მტრულ განწყობილებით და ყაზანის წინააღმდეგ გამოეყენებინა ჩრდილოეთის ოქროს ულუსის ყაენები. ამ მიზნით იგი უგზავნიდა ელჩებს ბათოსა და თოხთას და სთხოვდა მათ გამოლაშქრებას ყაზანის წინააღმდეგ. ამან ყაზანი შეაშფოთა, რადგანაც ჩრდილოეთის კარები — დარიალის ხეობა დავით მეფის ხელში იყო და მას აღვილად შეეძლო ჩრდილოეთის ულუსის ლაშქარი გადმოეშვა, რაც საფრთხეში ჩააგდებდა ერანის ილხანის საბრძანებელს.

ამის შაშით შეპყრობილი ყაენი დავითს უგზავნიდა ელჩებს, აძლევდა უვნებლობის ფიცს და პირობას, მაგრამ დავითი მტკიცე უარზე იდგა. მაშინ ყაზანმა საქართველოს დალაშქვრას მიჰყო ხელი,

რომ ამით აეძულებინა დავით მეფე მის მოთხოვნას დამორჩილებოდა. მან გამოგზავნა ლაშქარი ხუტლუშას მეთაურობით, დავითი კი მთიულეთში გაიხინა. ხუტლუშა შეიჭრა მთიულეთში და გადავიდა თერგის ხეობაში. ხადა-ცხაოტის მთიულებმა თავიანთ ვიწრო ხეობებში დიდი ზარალი მიაყენეს მონღოლებს, მრავალი მათგანი დახუცეს, ტყვეებიც ბლომად ჩაიგდეს ხელში. დამარცხებული ხუტლუშა იძულებული შეიქმნა დაბრუნებულიყო ქართლში.

მაშინ ყაენმა დავითის დასასჯელად მიმართა მონღოლებისათვის ჩვეულებრივ ხერხს, განიზრახა მისი ტახტიდან გადავდება და ქართლში გაემეფებინა დავითის უმცროსი ძმა მცირეწლოვანი გიორგი, რომელიც იმყოფებოდა სამცხეში ბექა ათაბაგის ოჯახში. მის მოსაყვანად ყაზან ყაენმა გაგზავნა ყურუმში ნოინი და შანშე მხარგრძელი.

ყაენის ეს მოთხოვნა ბექამ მაშინვე შეასრულა, ვინაიდან შვილისშვილის გამეფება მის საზოგადეობრივ-პოლიტიკურ გავლენას კიდევ უფრო გააძლერებდა. ყაენმა გიორგი დასვა თბილის მეფედ, რადგანაც ქართლსა და მის ჩოდილო თიანეთის ნაწილში ისევ დავითი მეფობდა და მოსახლეობაც მხარს მას უჭერდა.

ყაენს ეგონა გიორგის გამეფებით დავითს შეეშინდებოდა და მის წინაშე ქედს მოიხრიდა, მაგრამ მას იმედი გაუცრუვდა. დავით VII ამ ფაქტით

აღშფოთებული უფრო მედგრად ებრძოდა მთია-  
ნეთში შემოქრილ მონაცემებს.

დავითის ეს ბრძოლა მონაცემების წინააღმდეგ  
იყო უძიშნო, მხოლოდ იგი ჯიუტობდა და იარაღს  
არ ყრიდა. ამ გამუდმებულ ლაშქრობით მოსახლე-  
ობა ნადგურდებოდა, ქართლის სამეფო საშინელ  
ოოხრებას განიცდიდა.

ამას კარგად ხედავდნენ დიდებულები და დავითს  
ურჩევდნენ მონაცემებთან შერიცებას და ურ-  
დოში წასვლას. დავითი მაინც უარზე იდგა. ამის  
გამო მოსახლეობაში მან უკვე ნდობა დაკარგა და  
მთიულეთში შეხიზნული დავითი შურისგების გრძნო-  
ბით გაიმსჭვალა თავის მოწინააღმდეგების მი-  
მართ. მან ეჭვი შეიტანა თავისი ძმის ფახტანგის  
ერთგულებაზე და მას დევნა დაუტყო. ვამტონები  
ჩქარა შეიპყრო, მაგრამ იგი გაიპართ უინოვნის  
ციხიდან. დავითისაგან დევნილი ფახტანგი მოლოს  
იძულებული შეიქმნა წასულყო ყაენთან, ომე-  
ლმაც იგი დიდის ძატივით მიღო „კუთილია  
შეიწყნარა“ და მას უბოძა ქართლის მეფობა.

ამგვარად ქართლში იჯდა სამი მეფე: გიორგის  
ეჭირა თბილისი, დავითს ჩრდილო მთიანეთი,  
ქართლის შუა მხარეში კი უნდა ემეფა ვახტანგ  
III, მაგრამ დავით VII მაინც არ ურიცდებოდა ყაზან  
ყაენს და მთიულეთიდან ებრძოდა ყაენსა და ვახტანგ-  
საც. მონაცემთა ლაშქარი ხელმეორედ შეესია  
მთიულეთს, მაგრამ ქვლავ დიდი ზორალით უკუიქცა.

2. გიორგი ბრწყინვალე

ხანგრძლივი ომის გამო ქართლის მოსახლეობა  
 დიდ გასაჭირს განიცდიდა: მუდმივი ლაშქრობა,  
 მძიმე ხარჯი, სარწმუნოებრივი დევნა და სხვა ხალხს  
 უსპობდა არსებობის ყოველგვარ საშუალებას. ამას-  
 თანავე თრ მეფობის გამო ქართლის შინაური  
 ცხოვრება აფორიაქებული და მოშლილ იყო, ხალხს  
 არ ჰქონდა კანონი და სამართალი.

აღნიშნულ მდგომარეობას ზედ დაერთო მოუსა-  
 ვლიანობა და ჭირნახულის გაძვირება, ქართლიდან  
 პურის საშოვნელად ხალხი სამცხეში მიდიოდა.

სამცხის ათაბავი ბეჭა მანდატურთუხუცესი და მისი  
 სამფლობელო არ ემორჩილებოდა ქართლის მეუკე  
 ვახტანგ III, რომელიც ფლობდა აღმოსავლეთ საქა-  
 რთველოს ვაკეს, ხოლო მისი ჩრდილო მთაანეთი  
 ეპირი დავით VII ვახტანგ III შინაურ ბრძოლებში  
 მშვიდობიან პოლიტიკას აღვა, ის გაურბოდა  
 ძმათაშორის სისხლის ლვრას, მიუხედავად იმისა,  
 რომ მონლოლებმა იგი თავის ძმას დავით VII  
 დაუპირისპირეს. მაგრამ ვახტანგ III მას მაინც არ  
 მტრობდა და ძმასთან მორიგებას ცდილობდა.  
 ვახტანგ III არ ჰქონდა მოცლა და საშუალება ხე-  
 ლი მოეკიდა სამეფო საქმეებისათვის, ის იძულე-  
 ბული იყო თავისი სიცოცხლე გაეტარებინა ირანის  
 მონლოლთა ლაშქრობაში ეგვიპტის სულტანის  
 წინააღმდეგ.

1304 წელს ყაზან ყაენი გარდაიცვალა და ერა-  
 ნის ილხანად დაჯდა მისი ძმა ოლჯაითუ, რო-

შელმაც მიზნად დაისახა გილანელთა დამარცხება.   
გილანი მთიანი მხარე იყო და ძნელი მისადვომი, 1306 წელს ყაენმა შეკარა დიდი ლაშქარი და საქართველოდან მან გაიწვია ვახტანგ III და სამცხის ათაბაგი თავიანთი ჯარებით. გილანელები გმირულად იბრძოდნენ სამშობლოს დასაცავად და მონღოლთა ლაშქარსაც დიდი ზარალი მიაყენეს. ამ ბრძოლაში ქართველთა ლაშქარს მეთაურობდა თვით ვახტანგ III, გილანელებმა ბევრი ქართველი ამოხოცეს და თვით ვახტანგიც მსუბუქად დაიჭრა.

ოლჯაითუ ყაენი იყო მართლმორწმუნე მაჰმადიანი. ქართველი მემატიანის ცნობით მან განიზრახა საქართველოში მაჰმადიანობის გავრცელება და ქრისტიანული ეკლესიების შემუსვრა. ამ მიზნით საქართველოში გამოგზავნეს ერთი ნოინი, რომელმაც დაიწყო ქრისტიანების დევნა და ეკლესიების მოშლა. ამის გამო ვახტანგი ძლიერ უკმაყოფილო იყო და ნოინის საჩივლელად ყაენთან წავიდა. ყაენმა ერთგულობის სიმტკიცისათვის ვახტანგსაც მოსთხოვა უარეყო ქრისტიანობა და მიეღო მაჰმადიანობა. ამაზე უარი განუცხადა ვახტანგმა, რომელსაც ყაენისათვის უთქვამს, — მას ურჩევნია ეწამოს, ვიდრე უღალატოს ქრისტიანობასო:

„მე ვარ მეფე ქართველთა, და ყოვლი მთავარნი საქართველოსანი შენს წინაშე არიან, და სიკუდილად მე მზა ვარ, სიკუდილი ჰსჯულისათვის ქრისტია-

ნობისა... თავნი ჩვენნი შარკვეთენ, წა  
 რუპყრა ქედი: და ვითარ ესმა ყაინა  
 სიტყვა ესე, განკვირდა და პატივსცა  
 მეფესა და სიტყვით ტკბილითა აღადგი-  
 ნა და შეინანა"-ო, ამბობს ქართველი მე-  
 მატიანე (ქართ. ცხოვ., 415).

1308 წელს გარდაიცვალა ვახტაგ III, ხოლო სამი  
 წლის შემდეგ დავით VII. მონლოლებმა ამის შემ-  
 დეგ ქართლის მეფედ დაამტკიცეს გიორგი V  
 (13.8-1345წ.), რომელიც თავდაპირველად ითვლე-  
 ბოდა მხოლოდ „თბილისის მეფედ“.

✓ ვახუშტი ბატონიშვილი გიორგის გამე-  
 ფებას აღტაცებით მოვეითხობს: „დაჯდა მე-  
 ფედ გიორგი, ძე დიმიტრი მეფისა თავ-  
 დადებულისა, და დაიწყო მთიებმან აღ-  
 მობრწყინვებად, რომელსა ვერ ძალ  
 მიცს ამის და შესაბამის ქებისა თქმად  
 ვერცა სიტყვად თუ რაოდენ შვენიე  
 რად და გონიერად განაგო ქვეყა  
 ნა თვისი, და ჰქმნა ანუ წყობანი და  
 ბრძოლანი, ანუ შემატებანი სამეფო-  
 სანი"-ო (ქართ. ცხოვ. 447).

გიორგი V-ს მეტად გართულებულ პირობებში  
 მოუხდა გამეფვება ქართლში, მაგრამ მან თავისი  
 პოლიტიკური ნიჭით, დიპლომატიური ხერხებით  
 და ტაქტიკით შესძლო აღედგინა საქართველოს  
 სამეფოს წინანდელი ძლიერება და სახელი. ის კა-

რგად იცნობდა მონღოლთა სამხედრო საქმიანობას  
და მათს დიპლომატიურ ურთიერთობას უცხო სა-  
ხელმწიფოებთან. გიორგი კარგად ერკვეოდ, იმდრო-  
ინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში და პირად ვაჟკაცო-  
ბასთან ერთად მას ახასიათებდა მოქმედებაში  
სისწრაფე და ზოგჯერ სიმკაცრეც, თუ კი ამას მო-  
ითხოვდა სამშობლოს პოლიტიკური ინტერესები.

გიორგი V ჯერ კიდევ მონღოლთა ურდოში  
დაიმსახურა ყაენის ნდობა და პატივისცემა იმ ერთ-  
გულ სამსახურისათვის, რომელსაც ის უწევდა  
მონღოლებს მათს სხვადასხვა დაშქრობებში. აქ  
გიორგიმ მიიღო დიდი სამხედრო გაწროვნილობა,  
გაეცნო ბრძოლის ტაქტიკას და სტრატეგიას. ამი-  
ტომ მონღოლები მას მფარველობას უწევდნენ, გან-  
საკუთრებით ილხანის დიდი ვაზირი ჩობან ნოინი,  
რომელიც გიორგის ძლიერ ეხმარებოდა.

მონღოლებთან ურთიერთობის საკითხში გიორ-  
გი V თავიდანვე არ იზიარებდა თავის მამისა და  
ძმების პოლიტიკას. მონღოლთა ბატონობიდან თა-  
ვის დასაღწევად ისინი ფიქრობდნენ ამბოხებისა და  
შეთქმულების მოწყობას მონღოლთა ყაენების  
წინააღმდეგ, მაგრამ მათთან უთანასწორო ბრძოლე-  
ბში მარცხდებოდნენ, ზოგი ტრალიკულად ილუპე-  
ბოდა, სამშობლო კი განიცდიდა ოხრებასა და  
დიდ გასაჭირს. გიორგი V კი ფიქრობდა, რომ  
მონღოლებთან ლოიალურ დამოკიდებულებით შესა-  
ძლებელი იყო ქვეყნის დამშვიდება და სამშობლო-

საქონლების  
სამირაო

სათვის სასარგებლო საქმის გაკეთება. რისთვისაც  
საჭირო იყო მოთმენა და იმდრომდის დაცდა, ვი  
დრე არ შეიქმნებოდა ხელსაყრელი პოლიტიკური  
პირობები, როდესაც შესაძლებელი იქნებოდა ნაკ-  
ლები მსხვერპლის გაღებით სამშობლოს განთავისუ-  
ფლება მინღოლთა ბატონობისაგან. ამ მიზნით  
გიორგი V ცდილობდა მონღოლთა ყაენის ნდობა  
დაემსახურებინა და შეძლებისდაგვარად ლაშქრო-  
ბაში დახმარებას უწევდა.

გიორგი V ყაენმა დაამტკიცა მეფედ მთელი  
ქართლისა სამცხითურთ. მართალია, სამცხე აქამდის  
ცალკე სამთავროს შეადგენდა და იგი უშუალოდ  
ყაენს ემორჩილებოდა, მაგრამ ჩობან ნოინის დახმა-  
რებით გიორგი V სამცხეც მიიღო. სამცხის ძლიერი  
ათაბაგისათვის ასეთი დამორჩილება არ იყო სა-  
სურველი, მაგრამ გიორგიმ შესძლო ათაბაგ სარგის  
ბეჭას-ძის გადმობირება, მით უმეტეს გიორგი მეფე  
მისი დისწული იყო და ათაბაგ ბეჭას გაზრდილი.  
გიორგიმ ათაბაგ სარგისს უბოძა ამირსპასალარობა.  
ამით გიორგის სურდა განეხორციელებინა თავისი  
პოლიტიკური ამოცანა, რომელიც მიზნად ისახავდა  
საქართველოს გაერთიანებას და მონღოლთა ბატო-  
ნობისაგან განთავისუფლებას. რისთვისაც პირველ-  
ყოვლისა საჭირო იყო სამხედრო ძალა, რომელიც  
იმ დროს გააჩნდა სამცხის ათაბაგს და ამიტომ  
გიორგიმ ათაბაგი დანიშნა ამირსპასალარად.

V  
საქართველოს  
მთავრობის  
მუნიციპალიტეტი

საათაბაგოს შემომტკიცების შემდეგ გიორგი V  
შეუდგა სამეფოში შინაური მშვიდობიანობის დაშ-  
ყარებას. ამ დროს ქართლის მოსახლეობა შეწუ-  
ხებული იყო ოსების თარეშებისაგან: მონლოლების  
დახმარებით და ქვეყნის საერთო აშლილობით  
ოსთა მეკობრენი სარგებლობდნენ და მათ ქართლს  
ციხეები და დაბები ეჭირათ, არბევდნენ სოფლებს,  
იტაცებდნენ ხალხის სარჩოსა და საქონელს. ამიტომ  
გიორგიმ პირველყოვლისა გადაწყვიტა ოსებისაგან  
ქართლის განთავისუფლება. მოთარეშე ოსები გამა-  
გრებულ იყვნენ გორის ციხეში და გიორგი მეფე  
„მოადგა ოსთა გორსა მყოფთა“, დაა-  
შარცხა ისინი და ქართლიდან განდევნა. შემდეგ მე-  
ფე შეიჭრა კავკასიონის მთებში, დაიპყრო ყველა  
გზები და სამი წლის ბრძოლის შემდეგ დაიმორჩი-  
ლა ოსები და ჩრდილოეთში მოსახლე ჭიელები,  
რომლებმაც იკისრეს ხარკის მოცემა — „მოხარკე  
ჰყუნა ყოველნი იგი“.

შინაური მშვიდობიანობის გამტკიცებისათვის  
ეს მაინც არ კმაროდა, საჭირო იყო ცალკე სამთა-  
ვროების შემოერთება, ურჩი ერისთავების დამორ-  
ჩილება და ამგვარად საქართველოს გაერთიანება.  
მაგრამ მონლოლების შიშით ასეთი ნაბიჯის გადა-  
ღმას გიორგი V ჯერ ვერ ბედავდა, ამისათვის  
საჭირო იყო უფრო მოხერხებული დრო.

მით უმეტეს გიორგი მეგობრულ ურთიერთობაში  
იყო ჩობან ნოინთან, რომელიც 1316 წელს

ერანში გაყაენებულ მცირეწლოვან აბუსაიდი მთავარ ვაზირად გახდა და მთელი საყაენოს ფაქტიური გამგებელი. ილხანების ამ ყოვლად შემძლე ჩობანთან გიორგი კარგ განწყობილებაში იყო. ჩობანი გიორგის დიდად აფასებდა და საქართველოს სამეფოს საკითხში მას მუდამ მხარს უჭერდა. თავის მხრივ გიორგიც მუდამ მზად იყო ჩობანის დასახმარებლად და პოლიტიკურ საკითხებშიაც ხშირად ერთად თათბირობდნენ. ამის გამო ჩობანის ვაზირობის დროს საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა შედარებით ასატანი იყო. მართალია საქართველოს მეფე ილხანის ყმადნაფიცად ითვლებოდა და ყაენის ბრძანებები-„ი ე რ ლ ა ყ ი“ საქართველოში მოღიოდა, მაგრამ ამ ბრძანებებს უკვე წინანდელი ძალა დაკარგული ჰქონდა. ერანის ილხანის ლაშქრის რიცხვიც საქართველოში შემცირებული იყო. საქართველოს საზღვრებს სულ 10000 მოლაშქრე იცავდა. ასეთი მცირერიცხოვანი ლაშქრის დამარცხება და საქართველოდან მათი განდევნა შედარებით ადვილი საქმე იყო.

ჩობან ნოინის სიკვდილის შემდეგ მონლოლებში ისევ დაიწყო დინასტიური განხეთქილება, რასაც მოჰყვა ნოინების განდგომა ყაენისაგან. ჩქარა ნოინებმა ყაენის საბრძანებელიც დაინაწილეს და რომ თავიანთი სამფლობელოები გაეფართოებინათ, ერთ-მანეთს დაუწყეს ბრძოლა. ამას დაერთო თურქოსმალების შემოსევები აღმოსავლეთში. ოსმა-

ლები მონღოლებს ყველგან სდევნიდნენ, რამაც  
გამოიწვია მონღოლების ძლიერების დაცემა ამიერ-  
კავკასიაში და საერთოდ მათი ბატონობის შესუ-  
სტება ჩვენში.

გიორგი V-ემისარგებლა ამ ხელსაყრელ პირობე-  
ბით და მონღოლები საქართველოდან თანდათანო-  
ბით განდევნა.

ამის შემდეგ მან მიმართა ურჩი ერისთავების  
და მორჩილებას, გადავიდა ჰერეთ-კახეთში და მონ-  
ღოლების მომხრე ერისთავები ამოშყვიტა: „მან  
ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავნი,  
რომელნიც ჩინგიზთ (ე. ი. მონღოლებს) მი-  
უდგნენ კახეთს ცივზე მოიწვია და ამო-  
სწყვიტა“-ო (ქართ. ცხოვ 448). მათს ნაცვლად და-  
ნიშნა თავისი ერთგული მოხელენი.

ახლა მან მიაქცია ყურადღება სამხრეთის მხა-  
რეს, სადაც ათაბაგი ბატონობდა და დასავ-  
ლეთ საქართველოს, სადაც ამ დროს დიდ უთან-  
ხმოებასა და შინაურ აშლილობას ჰქონდა ადგილი.

ნარინ დავითის მექვიდრეები ტახტის დაუფ-  
ლებაში ერთმანეთს ექიშპებოდნენ. კონსტან-  
ტინე, იმერეთის მეფეს მისი ძმა მი ქაელი  
აუჯანყდა. ამას მოჰყვა იმერეთის ერისთავების  
გაძლიერება და მეფისაგან განდგომა. მიქაელის  
სიკვდილის შემდეგ 1329 წ. დარჩა მისი მცირე-  
წლოვანი შვილი ბაგრატი, რომელმაც ერისთავების  
შიშით ვერც-კი გაბედა მეფობა. მაშინ ერისთავებ-

თან შეთანხმებით მეფე გიორგი თავისი ჯარის  
გადავიდა ლიხთ-იმერეთში და დიდებულებმა იგი  
მეფედ აღიარეს. იმერეთის მეფის ტახტის მემკვიდ-  
რეს ბაგრატის გიორგიმ უბორა შორაპნის ერისთა-  
ვობა. გიორგის დამორჩილდნენ თდიშის მთავარი  
დადიანი, გურიელი, სვანთა და აფხაზთა ერისთა-  
ვები.

დასავლეთიდან გიორგი გადავიდა სამხრეთში,  
მოვიდა სამცხეში და მესხეთის მთავრად და ათაბა-  
გად თვითონვე დასვა ყვარყვარე სარგისის-ძე.

ამგვარად გიორგი V-ემ ისარგებლა მონლოლების  
ბატონობის შესუსტებით, და სულ მოკლე ხანში შე-  
სძლო საქართველოს გაერთიანება.

გიორგის არც საგარეო საქმეები ჰქონდა ყურად-  
ღების გარედ. ის ცდილობდა აღედგინა საქართვე-  
ლოს წინანდელი პოლიტიკურ-კულტურული გავ-  
ლენა მეზობელ ქვეყნებში. როდესაც მონლოლთა  
ნოინებმა განიზრახეს აზერბაიჯანის სახანოების და-  
პყრობა და მოვიდნენ განჯას, გიორგიმ გაილაშქრა  
მათს წინააღმდეგ, დაამარცხა ისინი და გამარჯვე-  
ბული დიდი ალათით დაბრუნდა. ასევე დაამარცხა  
მან საბერძნეთის სულტანი ორხანი, რომელსაც  
კლარჯეთის დაპყრობა სურდა: „ამის შემდგო-  
მად უმეტესად დაიმორჩილა რანი, მო-  
ვაკანი და სომხეთი, და მარა დის მი-  
სცემდიან ხარკსა და აღარ იყუნენ  
თათარნი საბრძანებელსა მისსა. ხო-

ლო ვინაიდგან დაიმორჩილნა და და-  
იმონნა ყოველი გიორგია (საქართველო)  
ნებასა შინა თვისსა და კავკასიოცა  
მორჩილებასა შინა მისსა იყუნენ ნი-  
კოფსიიდამ დარუბანდამდე"-ო (ქართლის  
ცხოვ. 450).

საგარეო ურთიერთობაშიც გიორგი V აქტი-  
ურ პოლიტიკას აწარმოებდა. მას, სხვათა შორის,  
დაბლომატიური მიმოწერა ჰქონდა ისეთ შორეულ  
სახელმწიფოსთან, როგორიც იყო ეგვიპტის სასულ-  
ტნო. გიორგისადმი გამოგზავნილ თავის ეპისტო-  
ლეში სულტანი მას მუსულმანთა მეგობარსაც კი  
უწოდებს. არაბთა მწერლის ელ-ომარის ცნობით  
სულტანის ეპისტოლეები ასე იწყებოდა: „დღე-  
გრძელ ჰყოს ალლაჰმა ბრწყინვალება  
მისი უდიდებულესობისა, ხელმწიფი-  
სა სახელოვნისა და სახელგანთქმუ-  
ლისა, მამაცისა, უშიშარისა, ძლიერისა,  
დაუცხრომელად მებრძოლისა, ლომისა,  
ტახტ-გვირგვინის მპყრობელისა, თავის  
სარწმუნოების მფლობელისა, მეფეთა  
შორის საუკეთესოსა, ქართველთა სულ-  
ტნისა, ზღვათა და სრუტეების სამფლო-  
ბელოებისა, განძისა, რაინდთა დამ-  
ცველისა, თავის წინაპართაგან ტახტ-  
სკიპტრის დამამკვიდრებელისა, და  
ერანის ქვეყნების დამცველისა, გვირ-

გვინოსანთა შორის ურჩეულესისა, ქრისტიანთა გამნადიდებელისა, იესოს სარწმუნოების საყრდნობისა, რომის პაპის მეშვეოლისა, მუსლიმანთა მეგობრისა, მეფეთა და სულტანთა უგულითადესი მეგობრისა“-ო. (ივ. ჯავახიშვილი, ქარ. ერის ისტ. III. 173-174).

როდესაც საქართველოს პოლიტიკური ძლიერება დაწეცა, უცხოეთში მყოფ ქართველების უფლებრივი მდგომარეობა გაუარესდა, განსაკუთრებით პალესტინაში, სადაც ქართველებს ჩამოართვეს მთანასტრები და მიზვითად გადააქციეს.

გიორგი V შეეცადა თავისი ქვეშევრდომების უფლებრივი მდგომარეობა უცხოეთში დაეცვა და ამ მიზნით დესპანები გაუგზავნა ეგვიპტის სულტანს და სოხოვა წართმეული ჯვრის მონასტერი ქართველებისათვის დაებრუნებინა. საქართველოს ელჩები მივიღნენ ქიოროში და სულტანს გადასცეს მეფის ებისტოლე. სულტანმა დააკმაყოფილა გიორგის თხოვნა და ქართველებს ჩამორთმეული ჯვრის მონასტერი უკანვე დაუბრუნეს. ამასთანავე ქართველებმა ჩაიბარეს აგრეთვე ქრისტეს საფლავის გასაღები, ე. შ. „კლიოტენი იერუსალემისანი“ და როდესაც დესპანებმა გიორგი მეფის ეს ამბავი მთასენეს: „ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მიეცეს კლიტენი ქართველთა“-ო.

ასეთივე აქტივობას იჩენდა გიორგი V ტრაპი-  
 ზონის სამეფოში საქართველოს პოლიტიკურ გავ-  
 ლენის აღსაღენად. ამ მიზნით იგი ხელს უწყობდა  
 ტრაპიზონში ქართული დასის გაძლიერებას.

ტრაპიზონის სამეფოს თურქების მიერ აოხრე-  
 ბით ისარგებლა ალექსი კომნანოს ასულმა ანა-  
 ხუტლუმ და 1341 წელს ლაზია ჯარისა და სა-  
 ქართველოს მომხრე დასის დახმარებით ხელში ჩაი-  
 გდო ტრაპიზონის სამეფო. მან ტახტიდან ჩამოაგ-  
 დო დედოფალი ირინე, ბიზანტიის კეისრის ასული,  
 ომელიც ბიზანტიის პოლიტიკის გამტარებელი  
 იყო ტრაპიზონის სამეფოში. ამ შემთხვევამ გამოი-  
 წვია ბიზანტიის მომხრე ჯვალის საშინელი განრის-  
 ხება და ჩემარა ტრაპიზონის სანაპიროს სამი გემი  
 მოადგა ბიზანტიის ჯარით. მაგრამ ლაზებმა და სა-  
 ქართველოდან მოსულმა ჯარმა მათ სროლა აუტე-  
 ხეს, ბევრი დახოცეს და გემებიც ხელში ჩაიგდეს.  
 ამგვარად, საქართველოს მომხრე ჯვალი გაიმარჯ-  
 ვა და დამარცხებული ბიზანტიელები უკუაქციეს.

✓ გიორგი V-ებ თავისი ბრძნული მოლვაწეობის წყა-  
 ლობით შესძლო საქართველოს პოლიტიკურად გაერ-  
 თიანება და მისი საგარეო მდგომარეობის განმტკი-  
 ცება.

გიორგი V-ეს დიდი ლვაწლი მიუძღვის აგრეთვე  
 სამეფოს კულტურულ-ეკონომიკურად დაწინაურების  
 საქმეში. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევ-  
 და ის მტკიცე წესწყობილების დამყარებას, მართვა-

# გამგეობისა და სამართლის წარმოების გაუმჯობესებას.

ქვეყნის ეკონომიკურად მოღონიერების მიზნით იყი ხელს უწყობდა გაჭრობასა და წარმოების განვითარებას. მონაცემებისაგან აოხრებული ქალაქები და სოფლები მოშენდა. მან მონაცემური ფულის „ყაზანური თეთრი“-ს ნაცვლად მოაჭრევინა თავისი ფული „გიორგაულ თეთრად“ წოდებული.

მას ეკუთვნის საქართველოს ისტორიაში შესანიშნეულ მიჩნეული „ძეგლის დადება“, რომელიც ჩვენში ცნობილია „გიორგი მეფის სამართლად“: ეს სამართალი შეიცავს 66 მუხლს და უმთავრესად ეხება მთიან საქართველოს პროვინციებს: მთიულეთს (ხადა-ცხაოტს) და ხევს. საქართველოს ეს მთიანი მხარე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მონაცემების ბრძოლის ასპარეზად გადაიქცა. აქ თავს აფარებდნენ მონაცემებისაგან დევნილი საქართველოს მეფე და მისი მოხელეები. თავისუფლბის მოყვარული მთა, რომელიც თემურ წყობილებით ცხოვრობდა, ვერ ეგუებოდა აქ შემოჭრილ გაბატონებულ წოდებას. ამ წოდების მიზანი იყო თავისუფალი მთიელების ბატონის უღელში შებმა, მაგრამ მთიელები ებრძოდნენ გაბატონებულ წოდებას, რომ შეენარჩუნებინათ თავიანთი თემური თავისუფლება.

როგორც გიორგი V-ს „ძეგლის დადების“ შინაარსიდან ირკვევა მე-XIII—XIV საუკუნის მან-

სლ  
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრი

ძილზე მთიულეთში ადგილი ჰქონია მნიშვნელვან სლ  
ციალურ გარდატეხას, სადაც თემური წყობილობა  
იშლებოდა და ძლიერდებოდა პრივილეგიური ახა-  
ლი წოდება, რომელსაც ეკუთვნოდნენ: ერისთავი,  
გამგებელი, ხევისბერი, ციხისთავი და სხვა.

მდაბიო ხალხი ამ გაბატონებულ წოდებისაგან  
განიცდიდა ეკონომიურ და უფლებრივ შევიწრო-  
ებას. ამის შედეგი იყო ერთმანეთზე თავდასხმა,  
ლალატი, ციხეების დაქცევა, შურისძიება, სიკვდი-  
ლი, ცოლის მოტაცება და სხვა. ძალმომრეობა და  
თვითნებობა ისე ყოფილა მთიულეთში გაძლიე-  
რებული, რომ თვით მთიული დედაკაცებიც  
შეიარაღებულან და „აბჯროსანნი დიაცნი“ აქტი-  
ურ მონაწილეობას იღებდნენ თურმე ამ თავდა-  
ცვით ბრძოლაში.

ერთი სიტყვით, საქართველოს ამ მთიან მხა-  
რეში წერილობითი სამართალი არ ყოფილა. სა-  
საზოგადეობრივი ცხოვრება და სამართალი ემყა-  
რებოდა ადათ-ჩვევებზე და ადგილი ჰქონია  
მრავალგვარ ბოროტებას. ამის გამო მეფე და მისი  
დარბაზი მთიულეთის აფორიაქებულ ცხოვრების  
მოწესრიგებას შესდგომია. ამ მიზნით გიორგი  
ბრწყინვალის განკარგულებით შეუდგენიათ ეს  
„ძეგლის დადება“, რომელმაც ჩვენამდის მოაღწია.

ამავე ეპოქას ეკუთვნის ერთი ფრიად საყურად-  
ლებო ძეგლიც „ხელმწიფის კარის გარიგე-  
ბა“, რომელშიაც მოცემულია სახელმწიფოს მმარ-

თველობის ერთგვარი სისტემა. მასში განსაზღვრულია „დარბაზისა“ და მეფის სავაზიროს უფლება-მოვალეობანი და აგრეთვე იმ თანამდებობის პირთა, რომლებიც მეფის ბრძანებებსა და კანონებს ასრულებდნენ.

გარდა ამისა კარის გარიგება გვიხატავს გიორგი ბრწყინვალის დროის ხელმწიფის ანუ დარბაზის კარის იმ რთულ ეტიკეტსა და ცერემონიალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმდროინდელ საქართველოს სამეფო კარზე.

ამგვარად გიორგი V-მ თავისი პოლიტიკური ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა და მან მოკლე ხნის განმავლობაში შესძლო საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანება და გაძლიერება. ხელი შეუწყო ქართველი ხალხის კულტურული და ეკონომიკური დაწინაურებას. ასეთი ამაგისათვის ისტორიამ მას სამართლიანად უწოდა ბრწყინვალება.

ასეთი დღი

ოდაქტორი პროფ. შ. ყ. ჩხერია

ადგ. მრეწვ. სახ. კომ-ის სტამბა, ფურცელაძის ქ. № 5

შეკვეთა 2522

შე05947

ტირაჟი 1000

